



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ენერგორესურსების მოხმარება საქართველოში 2022 წელი



15.12.2023
www.geostat.ge

15.12.2023

ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევის შედეგები (2022 წელი)

ოფიციალური დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, 12.7 პროცენტით გაიზარდა და 14 246.6 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა. ელექტროენერჯის წარმოების ზრდა ძირითადად განპირობებული იყო გაზრდილი წყალმოძინებით.

2022 წლის განმავლობაში მოპოვებულია 36.6 ათასი ტონა ნედლი ნავთობი (2021 წელთან შედარებით 3.1 პროცენტით მეტი), 146.3 ათასი ტონა ქვანახშირი (წინა წელთან შედარებით 1.1 პროცენტით ნაკლები) და 14.6 მილიონი მ³ ბუნებრივი გაზი (წინა წელთან შედარებით 8.8 პროცენტით ნაკლები).


გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, შეშის წარმოება 11.4 პროცენტით შემცირდა და 1 113.5 ათასი მ³ შეადგინა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში 2022 წელს წარმოებული ენერგორესურსების სტრუქტურას, გაანგარიშებულს ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში. როგორც დიაგრამიდან ჩანს, წარმოების სტრუქტურაში უდიდესი წილი (78.1 პროცენტი) მოდის ელექტროენერჯიზე. მეორე ადგილს იკავებს ბიოსაწვავი და ნარჩენებისგან წარმოებული ენერჯია (13.3 პროცენტი), რომელიც ძირითადად წარმოდგენილია შეშის სახით, ხოლო დანარჩენი სახეობის ენერგორესურსები სტრუქტურაში შედარებით დაბალი წილით ხასიათდება.

15.12.2023

წარმოებული ენერგორესურსები, 2022 წელს

(ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში)



2022 წელს ელექტროენერჯიის საბოლოო მოხმარებამ 13 385.5 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც 2.0 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე.


2022 წლის მონაცემებით, ბუნებრივ გაზზე მოთხოვნის მოცულობამ შეადგინა 3 361.0 მილიონი მ³ (წინა წელთან შედარებით 20.0 პროცენტით მეტი), ხოლო ბუნებრივი გაზის საბოლოო მოხმარებამ ამავე პერიოდში 2 528.7 მილიონი მ³ შეადგინა, რაც 13.6 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. 2021 წელთან შედარებით ბუნებრივი გაზის მოხმარება გაიზარდა შინამეურნეობების სექტორში (9.4 პროცენტით მეტი). მოთხოვნის შესაბამისად, ბუნებრივი გაზის მოხმარება გაიზარდა საგზაო ტრანსპორტში და მრეწველობის ცალკეულ დარგებში.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2022 წელს ქვეყანაში მოხმარებულია 1 375.4 ათასი ტონა ნავთობპროდუქტი (წინა წელთან შედარებით 1.1 პროცენტით მეტი).

ენერგორესურსების მოხმარების სტრუქტურაში 41.8 პროცენტი მოდის ბუნებრივ გაზზე. შედარებით მაღალი წილით ხასიათდება აგრეთვე ნავთობპროდუქტები (27.1 პროცენტი) და ელექტროენერჯია (22.2 პროცენტი). წლის განმავლობაში მოხმარებული ენერჯიის 4.5 პროცენტს შეადგენს ქვანახშირი, ხოლო დარჩენილი 4.4 პროცენტი მოდის ბიოსაწვავზე, გეოთერმულ და მზის ენერჯიაზე.

15.12.2023

მოხმარებული ენერგორესურსები, 2022 წელს
(ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში)




2022 წლის ენერგორესურსების მოხმარების სექტორული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ენერგორესურსების ყველაზე დიდი მომხმარებელია ტრანსპორტის და შინამეურნეობების სექტორები, რომლებზეც მოდის მთლიანი მოხმარების, შესაბამისად 31.1 და 30.4 პროცენტი. რაც შეეხება სხვა დარგებს, 18.1 პროცენტი - მრეწველობის, 4.3 პროცენტი - მშენებლობის, 0.6 პროცენტი - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის დარგებზე, ხოლო დარჩენილი 15.6 პროცენტი - კერძო და სახელმწიფო მომსახურებაზე და სხვა მომხმარებლებზე ნაწილდება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.12.2023

ენერგორესურსების მოხმარება საქტორების მიხედვით, 2022 წელს (ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტით)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.12.2023

ენერგორესურსების საბოლოო მოხმარება საქართველოს მიხედვით 2016 - 2022 წლებში (ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტი)

	ერთეული	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
ენერგორესურსების საბოლოო მოხმარება, სულ	1000 ტნე	4 396.1	4 455.2	4 414.1	4 592.0	4 486.9	4 913.1	5 190.8
მრეწველობა	1000 ტნე	789.5	885.1	925.8	887.5	860.4	884.4	938.1
	პროცენტი	18.0	19.9	21.0	19.3	19.2	18.0	18.1
მშენებლობა	1000 ტნე	171.5	180.9	185.9	245.5	201.9	193.6	222.6
	პროცენტი	3.9	4.1	4.2	5.3	4.5	3.9	4.3
ტრანსპორტი	1000 ტნე	1 539.0	1 395.6	1 367.4	1 418.5	1 359.1	1 503.0	1 613.5
	პროცენტი	35.0	31.3	31.0	30.9	30.3	30.6	31.1
შინამეურნეობები	1000 ტნე	1 265.6	1 336.3	1 227.3	1 300.7	1 408.2	1 507.7	1 575.6
	პროცენტი	28.8	30.0	27.8	28.3	31.4	30.7	30.4
კერძო და სახელმწიფო მომსახურება	1000 ტნე	433.3	453.0	514.9	535.5	412.9	544.5	551.0
	პროცენტი	9.8	10.1	11.7	11.7	9.2	11.1	10.6
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	1000 ტნე	31.4	32.3	27.6	27.2	24.9	25.7	29.6
	პროცენტი	0.7	0.7	0.6	0.6	0.6	0.5	0.6
სხვა	1000 ტნე	165.7	172.1	165.2	177.1	219.5	254.2	260.4
	პროცენტი	3.8	3.9	3.7	3.9	4.8	5.2	5.0

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

15.12.2023

მონმარაბული ენერგორესურსები 2016 - 2022 წლებში (ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში)

	ერთეული	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
ენერგორესურსების საბოლოო მოხმარება, სულ	1000 ტნე	4 396.1	4 455.2	4 414.1	4 592.0	4 486.9	4 913.1	5 190.8
ქვანახშირი	1000 ტნე	250.1	276.3	294.0	241.3	213.0	224.2	235.6
	პროცენტი	5.7	6.2	6.7	5.3	4.7	4.6	4.5
ნავთობპროდუქტები	1000 ტნე	1 432.7	1 297.2	1 267.4	1 379.3	1 313.3	1 391.1	1 406.3
	პროცენტი	32.6	29.1	28.7	30.0	29.3	28.3	27.1
ბუნებრივი გაზი	1000 ტნე	1 406.6	1 535.8	1 536.5	1 669.6	1 728.5	1 916.1	2 170.9
	პროცენტი	32.0	34.5	34.8	36.4	38.5	39.0	41.8
ელექტროენერჯია	1000 ტნე	901.7	963.8	1 026.4	1 036.9	987.0	1 128.0	1 150.9
	პროცენტი	20.5	21.6	23.3	22.6	22.0	23.0	22.2
გეოთერმული, მზის	1000 ტნე	18.4	18.8	19.1	19.4	17.2	18.4	18.9
	პროცენტი	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4
ბიოსაწვავი და ნარჩენები	1000 ტნე	386.6	363.3	270.8	245.5	227.8	235.3	208.1
	პროცენტი	8.8	8.2	6.1	5.3	5.1	4.8	4.0

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჯოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge